

1. **ხედვა:** რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?

ქვეყნის გაერთიანება და რუსეთთან ძმობის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის აღდგენა. საერთო ცხოვრებისა და შრომის მათგანიზებული სამართლიანობის სამაგალითო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების აღდგენა.

2. **განათლება:** როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

ზემოთ ჩამოთვლილ საგანმანათლებლო ეტაპებს თავისი ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის განათლების გზაზე, რაც მთავარია ის უნდა იყოს უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომი. არ გამოვრიცხავთ ასევე კერძო საგანმანათლებლო ქსელების არსებობასაც.

3. **გადასახადები:** თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?

სოციალ-დემოკრატიული წესდების სრული დაცვით უნდა მოხდეს დროის შესაბამისი შემოსავლებიდან გადახდა.

4. **ეკონომიკა:** როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?

პირველ რიგში აგრო-სამრეწველო კომპლექსის აღორძინებას.

5. **დასაქმება:** თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

საკუთარ შესაძებლობათა სრული ამოქმედება.

6. **ჯანდაცვა:** რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?

უფასო სამედიცინო მომსახურება, კერძო სექტორის არსებობასთან ერთად (შვედური მოდელი).

**7. სოციალური უსაფრთხოება:** *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

სოციალურ უსაფრთხოებას ვუზრუნველყოფთ ჯანდაცვის ხარისხის ამაღლებით, საპენსიო საკითხებისათვის მინიმალური საარსებო კალათის რეალობამდე აყვანით, შვედური მოდელის გათვალისწინების საფუძველზე.

**8. ადგილობრივი თვითმმართველობა:** *თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?*

სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩარევას იმ დოზამდე, რათა უზრუნველყოს მათი ინტერესების დაცვა აგრარულ თუ სამრეწველო სექტორში, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკურ წახალისებებსაც.

**9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები:** *რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?*

ერებს შორის ისტორიული წარსულის გათვალისწინებით პირველ რიგში, რუსეთთან ძველი ურთიერთობების დარეგულირებას და სხვა მეზობლებთან ერთად ისტორიულ თანამეგობრული ცხოვრების გაგრძელებას.

**10. უმცირესობათა უფლებები:** *რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

საქართველოში სექსუალური უმცირესობების უფლებები ისტორიულად არასდროს არ დარღვეულა, არც ახლა ირღვევა და ჩვენი ერის ტოლერანტობიდან გამომდინარე არც დაირღვევა. ეს ყოველთვის იყო პირადი საიდუმლოს თავშეკავებული გამოხატვა. რეკლამა და პარადების მოწყობა ხელს შეუწყობს გარყვნილებას რაც მორალურადაც დაუშვებელია.

**11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში:** *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ქალები პოლიტიკაში და არა მარტო პოლიტიკაში არიან მიზანმიმართული, კომპრომისებზე ძნელად წამსვლელები, კანონების უზადოდ შემსრულებლები და ცხოვრებაში გამტარებლები, ამიტომ ისინი უნდა იკავებდნენ სათანადო ადგილებს.

**12. უმცირესობათა უფლებები:** *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

ყოველმხრივ დაცული უნდა იყოს ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები და ისინი არ უნდა განიცდიდნენ ენობრივ თუ კულტურულ დისკრიმინაციას. არჩეული უნდა იყოს ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებაში.

**13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია:** *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

ხე-ტყის გაუმართლებელი ჭრის, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან ფრთხილი მიდგომა, ტყე-პარკების შენარჩუნებისა და ხელოვნურად მათი შექმნა. ვთვლით, სახელმწიფოს პრიორიტეტს მათი საკუთრებაში დაბრუნებისათვის.

**14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა:** *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/ გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

როგორც ისტორიულად ჩანს და გამოიხატა ერთადერთ გზად რჩება ევრო-აზიური ალიანსში მონაწილეობა და მათთან ერთად ევროპულ, აზიურ თუ მსოფლიოს ყველა ალიანსთან მეგობრული ურთიერთობა ეკონომიკური თუ საერთო სამშვიდობო საქმეებში.

**15. რეგიონული თანამშრომლობა:** *როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?*

რეგიონულ თანამშრომლობას დიდი როლი უჭირავს პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებაში, რაც გასათვალისწინებელია მეზობლებთან ურთიერთობაში და მათთან მეგობრულ დამოკიდებულებაში.

**16. თავდაცვის პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

შინაგან ჯარების ფორმას, გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე.

**17. უსაფრთხოების პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

მეგობრული ურთიერთობა ყველა კეთილმოსურნე ქვეყანასთან, პირველ რიგში კი მეზობლებთან. ისტორიულად ერთმორწმუნე რუსებთან ერთად უნდა აღვადგინოთ ეკონომიკური და სტრატეგიული გზები.

**18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა:** თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?

აბორტი ბოროტებაა, ის კაცის კვლისკენ, გამოუსწორებელი ცოდვისაკენ ხელშეწყობის გზაა. სათანადო სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ თავდაცვითი მედიკამენტური თუ სპეციფიკური საშუალებების ხელმისაწვდომობა.

**19. გადასახადები და კრედიტი:** უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?

არა, უნდა გადაიხედოს კანონმდებლობა და დაიხვეწოს კრედიტორების მიერ „ყაჩაღური“ დამოკიდებულება მსესხებლებისადმი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოტყუებული თუ ვალში ჩავარდნილი ადამიანებისათვის გრძელვადიანი, დაბალ პროცენტის სესხის გაცემა, ხოლო უბინაოდ დარჩენილი მოსახლეობის, მუნიციპალური ფართით უზრუნველყოფა.

**20. მიწის საკუთრება:** როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?

არა და არა, ეს უკვე ის ცბიერი ფორმაა, რომელიც ქვეყანას დააქუცმაცებს ნაწილ-ნაწილ. უნდა დამკვიდრდეს ქვეყანაში საიჯარო ხელშეკრულებების ფორმა, რეალური ვადის გათვალისწინებით.